№ 111, მაისის 29, ოთხშაბათი. 1866—1885 მაისის 29, ოთხშაბათი. № 111.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებათთვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ. —4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 59 კ., [illegible] სტრიქონებისა ითვლება მათგან დაქირვლილ ადგილად [illegible] ლობაზედ.

თუ ხანგრძლივობა მოითხოვს, რედაქცია გაახანგრძლივებს [illegible] ლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი იანვისის პირველიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი; სოფლის მასწავლებელთა-თვის 4 მანათი და 50 კაპ.

ვინც ხვედრ ფულს არ შემოიტანს, იანვისის პირველიდამ გაზეთი ადარ გაეგზავნება.

შინაური ქრონიკა

ᲒᲐᲡᲣᲚᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ „წერა-კითხვის საზოგადოების“ კრება ძლივს შესდგა და ისიც იმის მოწყალებით, რომ სხდომა მეორედ იყო დანიშნული. სულ ოც-და-თოთხმეტ კაცამდის მოგროვდა კრებამ ერთ ხმად სთხოვა უწინდელს თავს-მჯდომარეს მომავალს სამს წელიწადსაც იგივე დარჩენილიყო, მაგრამ თავადმა Ივანე მუხრან-ბატონმა უარი განაცხადა, თუმცა მეო სთქვა მუხრან-ბატონმა, ამ საზოგადოებას ზრუნვას და შესაძლებელს შემწეობას ისეც არ მეოაკლებო. ეს სიტყვები საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის კვრით მიიღო. თავადმა Ივანემ თავს-მჯდომარედ Ილია ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ დაასახელა და ამანაც რამდენჯერმე უარის თქმის შემდეგ, საზოგადოების გულმხურვალე თხოვნას ველარ გაუძლო და მიიღო თავს-მჯდომარის არა მცირე ტვირთი. მმართველობის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ᲔᲙ. ᲑᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ, ᲐᲙᲐᲙᲘ ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, Ნ. Ბ. ᲚᲝᲚᲝᲑᲔᲠᲘᲫᲔ, Ზ. Დ. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ი. Ს. ᲖᲝᲒᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ. Ნ. Ზ. ᲪᲮᲕᲔᲗᲐᲫᲔ, ᲕᲐᲡ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ, Ზ. ᲘᲝᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘ, Ა. ᲛᲘᲠᲘᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. ᲤᲬᲣᲠᲪᲔᲚᲐᲫᲔ, Ა. ᲩᲝᲚᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘ და Ა. ᲭᲧᲝᲜᲘᲐ. ᲐᲛᲐᲗ ᲥᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲐᲓ: Ზ. ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ, Ვ. ᲠᲪᲮᲘᲚᲐᲫᲔ და Რ. ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲘᲧᲝ დაბეჭდილი ტელეგრამა, რომელიც თ. Ივანე მუხრან-ბატონს მოუვიდა ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ თავად-აზნაურობის წინამძღოლთაგან მისის ამორჩევის გამო ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლად. აი, პასუხი თ. Ივანე მუხრან-ბატონისა:

„ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲡ. Თავად-აზნაურობის საგუბერნიო და სამაზრო წინამძღოლებს. ᲑᲣᲚ-ᲬᲠᲤᲔᲚᲡ მადლობას გიცხადებთ თქვენ, როგორც წარმომადგენლებს ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ თავად-აზნაურობისას. ᲩᲔᲛᲘᲡ ამორჩევის გამო თქვენის პირით გარდმოცემულმა იმედებმა ისეთი ძალა მომცეს, რომ მე ვიხმარ ყოველს ლონის-ძიებას ქართველი თავად-აზნაურობის სამსახურისათვის და ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲕᲘᲥᲜᲔᲑᲘ, თუ მტკიცე კავშირს დავამყარებთ რიონის მხრის საქართველოს თავად-აზნაურობის მეორე ნაწილთანაც საფუცველზედ ერთგულებისა ხელმწიფე იმპერატორისადმი, რომელიც განუწყვეტლად ზრუნავს მთელის თავად-აზნაურობის სიკეთისათვის და რაც გამოცხადებულ იქმნა ᲛᲘᲡᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ რესკრიპტში, აპრილის 23.“

ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გვწერენ შემდეგს: „ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲡᲢᲘᲡ სტანცია ეალდებულია, რომ თანამდებობის პირებს საჭიროების დროს აძლიოს ცხენები პირველი სოფლის კანცელიარიამდე, მაგრამ ყოველად-ცნობილს ბ. მებუკეს, რომელსაც ეს სტანცია აბარია, ისეთი განკარგულება მოუხდენია, რომ ხშირად კერძო ცხენების დაქირავებას ამჯობინებენ იმის სტანციაში მისვლასა და უსიამოვნობის მიღებას. ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲓ, ორი დღე დამაყენეს, რომ ცხენები არ მომცეს და როცა მე თითონ წაველ სტანციაში, აღმოჩნდა, რომ არც ერთი ტროიკა არ გასულიყო და მე კი უარს მეუბნებოდენ. Არ ვიცით, რისთვის ჩადის ამას გამოჩენილი მებუკე. Იგი კერძო დილიჟანსს ამუშავებს ᲭᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐ და ᲮᲝᲜᲘᲡ შუა და იქნება ამ გარემოებასთან ᲰᲥᲝᲜᲓᲔᲡ რაიმე კავშირი მის გაჯიუტებას“?

სამართალი

ᲐᲜᲢᲝᲜ ᲓᲝᲠᲓᲐᲜᲝᲕᲘᲡ, ᲡᲘᲛᲘᲝᲜᲝᲕᲘᲡ, ᲢᲔᲠ-ᲛᲘᲙᲘᲠᲢᲘᲩᲘᲐᲜᲘᲡ ᲕᲘᲠᲘᲡ და სხვ. სჯაზე.

(გაგრძელება *)

მაისის 20-დან დაიწყეს მოწმების გამოკითხვა, ჯერ დღევანდლამდე არ გაუთავებიათ და ვერც მალე გაათავებენ, რადგანაც მოწმები ᲑᲔᲕᲠᲜᲘᲪ არიან და ძალიან დიდხანსაც უნდებიან თითო მოწმის გამოკითხვას; ზოგს მოწამეს მთელს დღეს უნდებიან. დაწვრილებით მოწმების ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲗᲐ აწერა ძალიან ᲑᲔᲕᲠᲡ დროსა და ადგილსაც მოინდომებდა და მკითხველსაც თავს მოაბეზრებდა; ამისათვის, ᲩᲕᲔᲜᲘᲡ აზრით, სჯობია, მოკლედ გავიცნოთ

*) იხილე „დროება“ № 109.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣ�გᲝ

ᲨᲐᲑᲐᲨ ᲙᲐᲪᲘ, ᲨᲐᲑᲐᲨ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ,
ᲨᲐᲑᲐᲨ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲥᲛᲜᲣᲚᲘ.
ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ.

Შეჭველია, დიდებულ პოეტის სიკვდილს თქვენც შეიტყობდით ტელეგრამით; მისი დასაფლავების ამბავსაც მალე შეიტყობთ. მე საჭიროდ დავინახე, სანამ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣ�გᲝᲡ დასაფლავებას დაწვრილებით ამოიკითხავდა ქართველი საზოგადოება გაზ. „დროებაში“, მოკლედ მაინც გამეცნო ამ „კაცად-კაცის“ ცხოვრება.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝ მარტო დიდი პოეტი კი არ არის, ამ საუკუნის უდიდესი პოეტი,—იგი აგრეთვე შესანიშნავი იმითი არის, რომ უგალობს უფლებას, მოციქულობს კაცობრიობას. მისი მნიშვნელობა იმ საუკუნისთვის, რომელიც თითქმის მან შექმნა თავის „ზეგარდამო ნიჭით“ ყველამ იცის, ყველასთვის საყურადღებოა, ეროვნების გაურჩევლად, რადგანაც მისგან შექმნილი საუკუნე მარტო საფრანგეთს არა რგებია.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝ დაიბადა ᲑᲔᲖᲐᲜᲡᲝᲜᲨᲘ თებერვლის 26-ს, 1802 წ. მამა მისი სიგისბერტი, ᲕᲘᲥᲢᲝᲠ-ᲛᲐᲠᲘᲡ დაბადების დროს, კომენდანტად მსახურობდა რესპუბლიკის ჯარში; დედა-კი ნანტელი ᲐᲠᲛᲐᲢᲝᲠᲘᲡ ქალი იყო; ეძახდენ სოფი ᲢᲠᲔᲑᲘᲣᲨᲔᲡ, რომლის მამის პაპა უბრალო ნანხელი დურგალი ყოფილა.

Yictor Hugo raconté par un témoin de sa vie-ში (მისი ცხოვრების მოწამესგან ნაამბობ ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝᲨᲘ), რომელიც მისი კოლისაგან არის დაწერილი, ვპოვებთ ზოგიერთ საინტერესო წვრილმან ცნობებს პოეტის დაბადების თაობაზე:

„ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲜᲐᲡ ᲔᲚᲝᲓᲔᲜ, ᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘ კი დაიბადა. მაგრამ, ნახეს თუ არა, თქვეს,—თითქო ამ ბავშვს უგრძვნია, რომ მას არ მოელოდენო; მისი ძმების შვენიერი სახისა არაფერი ᲰᲥᲝᲜᲘᲐ; ისე პატარა იყო, ისე ნაზი და ისე გამხდარი, რომ ბებიამ გამოაცხადა—არ იცოცხლებსო.

„ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ გამიგონია, რომ იმის დედა ყველას უამბობდა ხოლმე იმის გაჩენას. ᲩᲔᲛᲘ შვილი დანაზე უგრძესი არ იყოო. ᲒᲐᲐᲮᲘᲚᲔᲡ თუ არა, სავარძელში ჩადვეს, სადაც იმისთანა თორმეტი დაეტეოდაო. ძმებს დაუძახეს, რომ ეჩვენებინათ მათთვის იგი. Ისე მჭლე იყო, ისე ნაკლებ ᲰᲒᲐᲕᲓᲐ კაცის არსებას, რომ დიდმა ᲔᲒᲔᲜᲛᲐ, რომელიც მხოლოდ თვრამეტის თვისა იყო და რომელიც ძლივს ლაპარაკობდა, რა წამს ნახა, დაიყვირა: „უჰ, რა პატარა ᲑᲐᲚᲚᲘᲐᲝ“!

Დიდი პოეტი, რომელსაც გლოვს არა თუ საფრანგეთი, არამედ მთელი მწერლობით დაინტერესებული ქვეყანა, როგორც ვხედავთ, საკმაოდ უჩინარი ოჯახის შვილი ყოფილა; მაგრამ ეს ოჯახი მალე გაჩინებულებულა. ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲜᲘ ᲰᲘᲣᲗᲝ გაგენერალდა; ᲜᲐᲞᲝᲚᲔᲝᲜ პირველისაგან გრაფობის ხარისხი მიიღო, და ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐᲨᲘ იქმნა გაგზავნილი სამი პროვინციის მმართველად. Ახლა, დაბალი ხელოსნის სახელი, მისი შვილის-შვილის საქმით უხრწნელი გახდა და გადავა მთელ შთამომავლობაზე, რომელსაც გააკვირვებს მისი დიდებული ღვაწლი.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝᲡ ცხოვრება ისე ხნიანი და სახელოვანი იყო და მისი საქმე ისე ვრცელი, რომ ამ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ ცნობაში მხოლოდ უმთავრესი ფაქტების მოხსენება შეიძლება, მეტი არა.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝᲛ პირველი წლები ტანჯვით გაატარა, რადგან მისი მშობლები მოუსვენარ სამხედრო კარიერას მისდევდენ. Ის გაიზარდა იმ დროს, როცა მისი მამის დასნი მღელვარე ომების ალიაქოთში ცხარე მონაწილეობას იღებდენ. 1807 წელს კომენდანტის სიგისბერტ ᲰᲘᲣᲗᲝᲡ დასი უნდა წასულიყო ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ საომრად გამოჩენილი ყაჩაღის ფრადიავოლოს ლაშქართან. ᲕᲘᲥᲢᲝᲠ-ᲛᲐᲠᲘᲡ დედა-კი თავის ახალგაზდა ოჯახითურთ მოვიდა ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ საცხოვრებლად. ᲕᲘᲥᲢᲝᲠ-ᲛᲐᲠᲘᲡ პირველი ადგილი მიანდვეს მონ-ᲑᲚᲐᲜᲘᲡ ქუჩის მასწავლებელს, რომელმაც ასწავლა წერა-კითხვა. მერე-კი ერთ ᲤᲔᲘᲐᲜᲢᲘᲜᲘᲡ ქუჩის პატარა პანსიონში ᲔᲑᲐᲠᲐ. Პირველად ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ მხოლოდ ოთხი წელი დაჰყო.

1811 წ. ოჯახის უფროსი, რომელსაც ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ გენერლის ეპოლეტი ᲔᲛᲝᲕᲐ, დანიშნულ იქმნა ᲔᲡ�პᲐᲜᲘᲐᲨᲘ სამსახურისათვის ერთ სამძიმო თანამდებობაზე. Ოლი და შვილები უნდა გაჰყოლოდენ ამ ოფიცრებს.

ᲝᲛᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ აოხრებულ ქვეყანაში მოგზაურობა უშიშრად ვერ გამოუვლიათ; დედა მადრიდში ჩავიდა ახალგაზდა ოჯახითურ. რომელიც შემდეგ წელშივე გამობრუნდა ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡᲐᲙᲔᲜ. ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝ შევიდა ᲤᲔᲘᲐᲜᲢᲘᲜᲝᲡ მიყრუებულ ქუჩის პანსიონში, სადაც ცოტა რამდენსამე ხანს წინ დაეყო.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲰᲘᲣᲗᲝ თვითონვე მოგვითხრობს იმ დროის ამბავს, როცა

მოწმების ჩვენებანი. — აკულისელმა მოწმებმა აჩვენეს საზოგადოდ, რომ ხელი, რომლითაც მოწერილია ყალბი დოკუმენტები, მართალია ჩვენს ხელსა ჰგავსო, მაგრამ ჩვენ კი არ მოგვიწერიაო. მაგისთანა ქაღალდზედ რომ ხელი მოგვეწერა, თავის დღეშიც არ დაგვავიწყდებოდაო; საზოგადოდ ეს მოწმები ამტკიცებდენ, რომ ქრისტეფორე ტერ-მიკირტიჩიანცს ბარათები არი გადაუცია-რა ტერ-შმოვანოვისათვის—როგორც ტერ-შმოვანოვი წინედ ამტკიცებდა და არც გადასცემდა. ტერ-შმოვანოვს ყველანი ვიცნობთ უსინიდისო, „მურტალ-კაცადო“, ის არა-ერთხელ გარეულა ამისთანავე საქმეებში, ქრისტეფორემაც იცოდა ესენი და არასოდეს არ ჩაუგდებდა ხელში მაგისთანა დოკუმენტს ტერ-შმოვანოვსაო, რომ იგი თავის დღეში არც კი ყოფილა ტერ-მიკირტიჩიანცების სახლშიო, და რაღა სიკვდილის დროს მოაგონდა იგი ქრისტეფორეს, დაიბარა და მაგისთანა მძიმე საქმე მიანდოო. ტერ-მიკირტიჩიანცების მამამ, 90 წლის ბერი-კაცმა გამოაცხადა, რომ ეგ დოკუმენტები ნამდვილად ყალბი არისო, ქრისტეფორეს მართლა დიდი ფული ემართა თავისის ძმის მარტიროზისა, რომელმაც ჩემი ბძანებით დიდი ვალები გადაიხადა თავისი ძმის მაგივრადაო. ერთის სიტყვით ყველანი იმას ამტკიცებენ, რომ დოკუმენტები ნამდვილად ყალბებია და იმათი შემდგენელიც ტერ-შმოვანოვი უნდა იყოსო. ერთმა მოწამემ ისიც კი აჩვენა, როგორ მოახერხა ტერ-შმოვანოვმა ერთი დოკუმენტის გაკეთება: ტერ-შმოვანოვს აკულისში დაეწერა, ერთი თუმნის ვექსილი, რომელზედაც ხელი მოეწერინებინა მოწმებისთვის; მერე რაღაცა წამლით იმას ამეეყვანა ამ ვექსილის თექსტი და მოწმების ხელის მოწერა კი გაეშო. თექსტის მაგივრად ის ცნობილი ბარათი 85,000 მან. მილებაზედ გაეკეთებინა.

მოწმების ჩვენებიდამ აღმოჩნდა, აგრეთვე, რომ რაკი ამ საქმეს ფეხი გამოუყვია, ყორღანოვს და მის ამხანაგებს მთელი თავისი შეძლება, გავლენა და ცოდნა მოეხმარებიათ მოწმების შესასყიდად და თავიანთ მხარეზედ გადასაბირად, რადგანაც ეხლა მოწმებზედ მივარდა მათი ბედი. ყორღანოვს დაექირავებინა, როგორც ერთმა მოწამემ სთქვა „მთელი ხროვა აგენტებისა“. ერთმა მოწამემ პირ-და-პირა სთქვა, რომ „ყორღანოვის სამსახურში“ ვიყავიო. აგენტები ყოველნაირს საშუალებას ხმარობდენ მოწმების შესასყიდად: ზოგს ფულით, ზოგს შეშინებით, ერთის სიტყვით რითაც კი მოახერხებდენ გადმოჰყვანდათ თავიანთ პატრონების მხარეზედ. ზოგიერთს პირ-და-პირ ფულით იქირავებდენ, მიყავდათ გამომძიებელთან და იქ რაც უნდოდათ იმას ათქმევინებდენ ხოლმე; ერთს მოწამეს ეთქო: „რთ არა ვიკი-რა, რა უნდა ესთქვაო“; „რა საჭიროა ცოდნა, ჩვენ ვერ გასწავლით-ო“?---ეპასუხნათ მისთვის და წაეყვანათ პირ-და-პირ გამომძიებელთან. ხან-და-ხან ყორღანოვი მოწმებს გზავნიდა თავის ადვოკატებთან და ესენი დარიგებას აძლევდენ მოწმებს: ესეთი ჩვენება მიეცითო, ესე და ესე მოიქეცითო. ყორღანოვს როგორც ეტყობა დიდი ფული ეხარჯებოდა ამ მოწმებზედ; „დავიღუპე ამ ოხერ საქმეზედ“-ო, ეთქვა იმას როგორც ერთმა მოწამემ აჩვენა; მეორემ თქვა კიდე, რომ „ყორღანოვი მოიღალა ფულების ძლევითაო“. ყორღანოვს ცოტათი რომ დეეგვიანებინა ფული ან სხვანაირად გულ-გრილობა გამოეჩინა, მოწმები მაშინვე მარტიროზ მიკირტიჩიანცის მხარეზედ გადადიოდენ, აძლევდენ იმის სასარგებლოდ ჩვენებათა, და თუ ეს ან ფულს. დაჰზოგავდა და ბუჩოსავით არ დააყრიდა მათ, მაშინ კიდე ისევ ყორღანოვის მხარეზედ გადადიოდენ. მარტიროზმა თითონ კი აჩვენა, რომ მე ფული არ მიძლევია ყორღანოვივითა, მაგრამ ზოგიერთმა მოწმებმა თქვეს, ესეც ფულს გვპირდებოდაო, თუ იმის სასარგებლოდ ვიტყოდითო „ოლონდ ყორღანოვი კი ხელში ჩამიგდეთო და 5,000 მან. მოგცემთო“. მოწამემ ტატოსიანცმა აჩვენა, რომ მე დამიქირავა მარტიროზ ტერმიკირტიჩიანცმა და ჩვენ საქმე ასე გავინაწილეთო: მარტიროზს უნდა ემოქმედნა აკულისელ მოწმებზედ და მე ქალაქელ მოწმებზედაო ერთის სიტყვით, როგორცა ჩანს არც ერთს მხარეს არ დაუზოგავს ფული მოწმების შესასყიდად. თუმცა კი მარტიროზს ისე გულ-უხვად არ უხარჯავს, როგორც ყორღანოვს; თითონ ხსენებული მოწამე ტატოსიანცისათვის მას არ მიეცა ფული, რის გამო გაჯავრებულს მოწმეს კიდეც ეცემა მარტიროზისათვის. ეხლა სანკტ-პეტერბურგში ადარ უნდა იყოს თქვენ-ოს. ეს. გარემოება, რომ ზოგი მოწამეთაგანი ეხლანდელ ჩვენებაში სხვას ამბობს არღვევს თავის წინანდელ ჩვენებაში ნათქომსო. „რად იქცევით ეგრე, ადრე სულ სხვა ილაპარაკეთ, ეხლა სულ სხვას ამბობთ,“—ჰკითხეს მოწამეს ტატოსიანცს.—„მაშინ ფული მიჭირდა და ტყუილები ვილაპარაკე, ეხლა-კი აღარ მიჭირს და მართალს ვლაპარაკობო, უპასუხათ თამადამ და ღიმილით მოწამემ. ზოგს მოწამეს არ უკადრია ფულის აღება, მაგრამ მაინც ხათრითა და პირ-ფერობით ტყუილი ჩვენება წინად მიუციათ და ეხლა-კი ფიცქვემ, ჯვრისა და სახარების წინ მართალს ჩვენებას აძლევენ.

მოწმებში ყველას ყურადღება მიაქცია ხსენებულმა ტატოსიანცმა. იგი ყოფილა 1880 წელს მასწავლებლად ქ. ერევანში. ამას შაჰხვედრია ტერ-შმოვანოვი, რომელსაც ერჩია მისთვის, თავი დაანებე მასწავლებლობას და მე გამომყე თბილისშიო. ტატოსიანცსაც მიეღო ეს რჩევა და გამოჰყოლოდა ტერ-შმოვანოვს ქალაქში. აქ რაკი ჩამოსულიყვნენ მათ გეგეგოთ, რომ დოკუმენტების სიყალბე ამოუჩენიათ და საქმე ცუდად არისო. ტერ-შმოვანოვს დაენიშნა ტატოსიანცისათვის თვეში ხუთი თუმანი და გაეგზავნა აკულისში: ჩვენ საქმეებს ყური უგდე და მოწმებზედ იმოქმედეო. ტატოსიანცი წასულიყო აკულისში. მაგრამ რაკი ტერ-შმოვა-

---

მისი სახლობა ესპანიაში სცხოვრებდა:

„მე ვიყავ მადრიდში ჭოზეფის დროს. ეს ისეთი დრო იყო, როდესაც მღვდლები 1811 წლის კუდიან ვარსკვლავზე უჩვენებდენ ესპანიელ გლეხებს, რომელთაც საქმე კარგად ესმოდათ, როგორც ფერდინანდ VII-ის მფარველ წმინდა ღვთის-მშობელს. ჩემი ორი ძმა და მე ვებარეთ კეთილშობილთ სემინარიაში, სან-ისიდროს კოლეგიაში. მოძღვრებად გვყავდა ორი იეზუიტი: ერთი გულ-ჩვილი და მეორე გულ-ფიცხი, დონ მანელი და დონ ბაზილიო. ერთ დღეს ჩვენმა იეზუიტებმა, უთუოდ ბრძანებით, გაგვიყვანეს აივანზე, რომ გვენახა მომავალი ოთხი ფრანცუზების დასი, რომელნიც მადრიდში შემოდიოდენ. ამ დასებს გაეწიათ იტალიისა და ბერმანიის ომები და ბრუნდებოდენ პორტუგალიით. ძუჩას მოფენილი ბრბო მწუხარედ შეჰყურებდა იმ კაცებს, რომელთაც მოჰქონდათ ფრანცუზების სული... იმ დროს, როცა ისინი უვლიდენ ჩვენს აივანს, დონ მანუელი გადიდრიკა დონ ბაზილიოს ყურისკენ და უთხრა: „აი, ვოლტერი მოდისო“...

დიდს ხანს არ გაუვლია მას აქეთ, მიაბარეს იგი ერთ სკოლაში, რომელიც ძორდიეს გაეხსნა. ამ სკოლაში ვიკტორ ჰიუგოს ნიჭმა საჩქაროდ თავი იჩინა. ცამეტიდამ ჩვიდმეტ წლამდე მან დასწერა სხვა-და-სხვა გვარი ნაწყვეტები, ბევრი თხზულების მასალა, სახელდობრ ერთი ტრაგედია Irtaméne (ირტამენი), რომლის ზოგიერთ ალაგებს ეპოვებთ Litterature et philosophie mêlées-ში (ლიტერატურისა და ფილოსოფიის ნარევში) და ერთი დრამა Inés de Castro (ინეს დე ქასტრო). თუთხმეტის წლისა იყო, როდესაც აკადემიას გაუგზავნა ერთი წერილი, სახელად: Les avantages de l'étude (სწავლის სარგებლობა), მაგრამ კომიტეტმა არ დააჯილდოვა, რადგან სხვისა ეგონა.

ჰიუგო მსწრაფლად გაუსხლტა ხელიდამ ყმაწვილობის ასაკს და გახდა ნოვატორი და დიდი გენიოსი. 1818—1822 წლამდე გამოვიდა მისი Odes et ballades (ოდები და ბალადები), რომელმაც შესძინა „დიდი“ ყმაწვილის სახელი შატობრიანის მხრით. ერთ გაზეთ Conservateur littéraire-ში (მწერლობის კონსერვატორში), რომელიც დააარსა თავის ძმებთან ერთად, მან გამოაქვეყნა რამდენიმე კრიტიკული ეტუდები, სახელდობრ, ერთი წერილი ჯერედ უცნობი ლამარტინის Medit Pations poètiques (პოეტიკური ფიქრების) თაობაზე.

ადვილი გასაგებია რომ ამისთანა გემოვნებასთან, სამხედრო კარიერა, რომლისათვისაც ნიშნავდა მამა მისი, სრულებით არ ემარჯვებოდა ახალგაზდა მწერალს, თუმცა შესანიშნავად ეწყობოდა პირველად მათემატიკას. იმპერიის დამხობით დამხობილმა ოჯახმა დაუბრკოლა მას სწავლის გაგრძელება პოლიტეხნიკურ სკოლაში.

მისი ძლიერი მფარველი მწერლები შიშმა შეიპყრო, რადგან ჰხედავდენ, რომ ახალ-გზას ადგებოდა და და

ნოვს გროში ფული ვერ გაეგზავნა, იგიც ისევ წამოსულიყო თბილისში და მიჰვარდნოდა ტერ-შმოვანოვს, რატომ ფულებს არ მიგზავნიდიო. მაგრამ ტერ შმოვანოვი მეორე დღესვე დაეტუსაღებინათ და ტატოსიანცი გაჭირებულს მდგომარეობაში ჩავარდნილიყო; „რა უნდა მექნაო; მე წაველი ჯერ მიკირტიჩიანცთან მოველაპარაკე იმას: მარტიროზმა მითხრა, რომ ხუთას თუმანს მოგცემ, ოღონდ ჩემკენ ილაპარაკეო და ყორღანოვი ჩამიგდე ხელშიო; მე აქედან ყორღანოვთან მივედი და გამოუცხადე, რომ თუ იმოდენავე ფულს მომცემს, მაშინ მარტიროზისაკენ აღარ გადავალ-თქო. მაგრამ ყორღანოვმა გამომაგდო და მეც გაჯავრებული წაველი მარტიროსთან; ამან წამიყვანა გამომძიებელთან; გამომძიებელმა კიდევ ციხეში მინას ტერ-შმოვანოვთან. მინასას მე აუწერე ჩვენი გაჭირებული მდგომარეობა, უთხარი, რომ ყორღანოვი ფულს აღარ გვაძლევს-თქო, და მოდი მარტიროზისაკენ გადავიდეთ; ეს უფრო ბევრს ფულს მოგვცემს-თქო; მინასამაც გამიგონა და ყველაფერი გულ-წრფელად აღვიარაო. მინასა ამის შემდეგ თავდებობით გამოუშვეს ციხიდამ ის ისევ ყორღანოვს მიუდგაო და მეც რაკი მარტიროზმა ფული არ მომცა, ისევ იმათკენ გადავედიო, და სულ სხვანაირი ჩვენება მივეცი გამომძიებელს სტაალსო. ტერ-შმოვანოვის მეცადინეობით ყორღანოვმა დამინიშნა თვეში ხუთი თუმანი ჯამაგირი და მეც დავუწყე მოწმების შესყიდვა.—ტატოსიანცი მოწმებს არწმუნებდა, რომ სინიდისი ეხლანდელ დროში გროშად არა ღირსო, სინიდისიანი კაცი შიმშილით მოკვდებაო და სხვა ერთი მოწამე ხეჩატურიანცი მთვრალი მოტყუებით წაეყვანა გამომძიებელთან და იქ თითონ რაც უნდოდა ის ეთქმევინებინა და ხელი მოეწერინებინა. ერთის სიტყვით ტატოსიანცი ფულის გულისათვის ყველაფერს შეიძლებს; ეს ისეთი მოწამეა, რომლის ჩვენებას არავითარი მნიშვნელობა და ფასი არ უნდა ჰქონდეს, როგორცა თქვა ერთმა ნაფიცმა ვექილმა..

როგორც ზევითაცა ვსთქვით მოწმების გამოკითხვა ჯერ არ გათავებულა.

(შემდეგი იქნება).

უცხოეთი

ინგლისი. ბამოჩენილმა ვენგრიელ პროფესორმა ბამბერიმ ამ უკანასკნელ დროს კარგა ხანი დაჰყო ინგლისში. ეხლა ეს ცნობილი მსწავლული დაბრუნებულა თვის ქვეყანაში და ერთის გაზეთის თანამშრომელისათვის გადაუცია შინაარსი თვისის თათბირისა ბლადსტონთან. პირველს მინისტრს ეკითხოს ვითომც რუსეთისა და ყოველის რუსულის მოწინააღმდეგე მსწავლულისათვის—როგორ მოიქცევოდა იგი მის (ბლადსტონის) ადგილას რომ ყოფილიყო და როდესაც ბამბერის განემარტა თვისი აზრი საშუალო-აზიის საქმეთა შესახებ, ბლადსტონი სრულიად დასთანხმებოდა ამ აზრს მსწავლულისას. ბამბერიმ დაუმტკიცაო ინგლისში ბევრს სახელმწიფო კაცებს, რომ ინგლისისა და რუსეთის შორის ბრძოლას საშუალო აზიის გამო ჯერ კიდევ წინ უნდა მოველოდეთო... მთელს ინგლისსა ჰსურს ომი და ორი წლის შემდეგ იგი იმდენად მოემზადება, რომ ხელ-ახლად შეუძლიან აღძრას დავა ავღანის საქმეებზე. რუსეთიო,—უთქვამს ბამბერის,—დღესაც აუარებელს ჯარს აგზავნის საშუალო აზიაში. ინგლისს რომ მოცალება ჰქონიყო, რომ სხვა რამ დარდი არ აწუხებდეს მას, ავღანის საქმენი დღემდის მისს სასარგებლოდ იქმნებოდენ გადაწყვეტილნი. ინგლისში და ინდოეთში სამხედრო მზადება კვლავაც გაცხარებით მიდისო. რკინის გზის გაყვანას ეშურებიან ავღანის საზღვრებისა და ყანდაარისაკენ.

საფრანგეთი. კოლონიალური პოლიტიკა საზოგადოდ ვერ მიუღისთ კარგად ევროპის ცივილიზატორებს. ამ პოლიტიკამ ლამის წასჩხუბოს გერმანია, ინგლისი და სხვა დიდი სახელმწიფენიც ერთმანეთ შორის. მაგრამ გარდა ამისა, რომ თვით ცივილიზატორებს მოსდით ერთმანეთში უთანხმობა ის ქვეყნებიც, რომელნიც ამათა ჰსურთ ცივილიზაციის სხივით მოჰფინონ ხშირად წინააღმდეგობას უწევენ, ვერ იშნობენ მათს წყალობას.—ასეთი ამბავი ხდება ამ ჟამად ცენტრალურს აფრიკაში.—პარიჟის გეოგრაფიული საზოგადოება ერთობ შეშფოთებულ-ა ბოლო ბოლოს ბოლოს ბოლოს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან მშვიდობიანად საქმის გათავების იმედი აღარა აქვთ. ამ დღეებში ბერმანიის ესკადრა გაემართება ზანზიბარისაკენ. თუმცა ესკადრას ნებრძანები არა აქვს მოსვლისათანავე ზანზიბართან გამართოს ომი, მაგრამ იგი უნდა ეცადოს-კი—წინააღმდეგობა გაუწიოს ზანზიბარის ხონთქრის შოვინიზმს—სურვილს, რომ ომით შემოიერთოს ყველა წვრიმანი სამთავროები აფრიკისა. ბერმანიის ესკადრა შესდგება ორის ხომალდისაგან, სამის საომარის გემისაგან, რომლებზეაც 1240 ჯარის კაცია 46 ზარბაზნით. ცხადია — ასეთი მცირე ლაშქარი ვერას გახდება ზანზიბარის წინააღმდეგ, სადაც ორას ათასამდე მცხოვრებია და მხოლოდ სატახტო ქალაქში ამ რიცხვიდამ ოთხმოცი ათასი კაცი სცხოვრებს. ზანზიბარის ხონთქარს კარგა შეძლებული მხედრობა ჰყავსო და მასთან ბრძოლის გამართვა არც იმდენად ადვილიაო. — ინგლისელნი მხურვალედ გამოექომაგენ ზანზიბარის ხონთქარს. „ზანზიბარი, თუ მართალს ვიტყვით,—სწერს „Times“-ი, ჩვენი ნათესავ-საყუდარია: ინგლისი არა თუ მარტო დამცველია ამ ქვეყნისა, მასთან ვაჭრულის კავშირის გამო, არამედ მეგობარიც, როგორც სრულიად ინდოეთის ხალხისა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ზანზიბარის მცხოვრებლებთან, ერთ-სისხლია ამათი. ამიტომაც დიდ-ბრიტანია მოვალეა დაიცვას კეთილ-დღეობა თვის მოძმე აფრიკის ინდოელებისა. გარდა ამისა პოლიტიკურადაც უფლება აქვს ინგლისს ზანზიბარზე. ინგლისის საქმეა, რომ ეხლანდელი ხონთქარი განდევნილ არ იქმნა თავის ქვეყნიდამ. იგი ყოველის მხრით დავალებულია ინგლისისაგან. ხონთქარი ფორმალურადაც ითხოვდა ამ მფარველობის დამყარებას ინგლისისას თვის სამფლობელოზე, მაგრამ ჩვენ უარს ვეუბნებოდით ხოლმე. და ეხლა, როცა ბერმანიამ ხელი წაუწვდინა ზანზიბარს და ჰსურს თვისი კანდიდატი შესვას ამ ქვეყნის ტახტზე—ინგლისს გაჩუმება არ შეუძლიან.“

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 27-ს.

პეტერბურგი. დიდი თავადი ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე მობრძანდა გუშინ შსკოვის გუბერნიაში ქ. ოსტროვში, მოისმინა სობორაში წირვა, მაიდო ადგილობრივი მთავრობის შირნი, დათვალიერა ადგილობრივი კამანდა, სავადმყოფო და სხვა დაწესებულებანი და საუზმის შემდეგ წობანდა.

კიშინევი. გუშინ აქ აგურთხეს ობელისკი აშენებული შუშკინის სახსოვრად; გურთხევაზედ დესწრენ სხვა-დ-სხვა დეპუტატიები, მათ შორის იყო დეპუტატია ოდესის უნივერსიტეტისა; პანაშვიდის შემდეგ წაიკითხეს ტელეგრამები და წარმოთქვეს სიტყვები.

სტამბული. შაბათს ტეტნლისაგან გადაწვა 300 შენობამდე, მათში 50 დუქანი და სამი მეჩეტი. კრთი კაცი მოკვდა და რამდენიმე დაიჭრა.

ბირჟა

პეტერბურგი მაისის 21.

100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე—	—$24^{3}/_{8}$ $24^{17}/_{32}$ $24^{7}/_{16}$
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე—	—$209^{1}/_{4}$, $210^{3}/_{4}$ 210
100 მან. კურსი სამის თვით პარიუზე —	— $257^{5}/_{8}$, $258^{1}/_{2}$
პოლუიმპერიალები	— 8 მ. 5 კ. გაუ.
ტამოუნის კუპონები	— 8 მ. 4 კ. გაუ.
ვეცლის მანათი	— 1 მ. 29 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი—	— $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა —	— — $99^{1}/_{4}$ მ. გაუ.
მეორე გამოცემისა	— $97^{3}/_{4}$ მ. გაუ.
მესამე გამოცემისა	— $97^{1}/_{2}$ მ. გაუ.
მეოთხე გამოც. —	— 97 მ. 36 კ. გაუ.
მეხუთე გამოც. —	— $97^{1}/_{2}$ მ. გაუ.
5% აღმას. სესხ. 100 და 1000. —	— — $95^{3}/_{4}$ მ. გაუ.
მეორე გამოც. —	— $94^{3}/_{4}$ მ. გაუ.
მესამე გამოც. —	— 95 მ. 12 კ. გაუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა —	226 მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა—	$202^{1}/_{4}$ მ. გაუ.
ოქროს რენტა —	— $169^{1}/_{2}$ მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები—	— —. . . . .
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც.	. . . . .

ცნობანი

რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის

8 საათზე და 35 წამ. დილით.

თბილისიდამ მარტო საშურამდინ

3 საათ. და 15 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ

10 საათზე და 45 წამზე ღამით. (ყოველ-დღე)

8 საათზედ 24 წამ. დილით.

ბაქოდამ მოსავალი შემოდის თბილისში

დილის 8 საათ.

განცხადებანი

ყიდა მოგვე

ს. სიუ და კო.

(Ц. 2592).

(46—15)

თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ უძრავნი ქონებანი ქვემო ჩამოთვლილ პირთა ბანკის წესდების 14 § ძალით გაისყიდებიან საჯაროდ, რადგან ამავე ბანკის წესდების თანხმად ამათ არ შამოუტანიათ როგორც საავადო გადასახადი, აგრეთვე თავნი ვალი.

მოკლე ვადიანი სესხები.

მალალოვისა. ნინა სარდიონის ასულმა, ჯენახი, ზომით 6 დესეტინა. თბილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა, სოფ. ბაგურ-ციხეში.

ნათიევისა. სოფიო გრიგოლის ასულმა, ბაღი და ჯენახი, ზომით 2 დესეტინა და 100 კვ საჟ. თბილისის გუბერნია, დუშეთის მაზრა, სოფ. დამბალაში.

ზანდუკელი. ოტია გიორგის-ძე ჯენახი, ზომით 7 დესეტინა. თბილისის გუბერნია, დუშეთის მაზრა, სოფ. ანანეგის-პირთან.

ვაჩნაძე. მართა მისეიდის ასული. საკენახე ადგილები ზომით 3 დესეტინა. თბილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა, სოფ. კარდანახში.

ანდრონიკაშვილი. ალექსანდრე გიორგის-ძე სახნავი, სასახლე-კარე, საძოვარი და საკენახე ადგილი, ზომით 4 დესეტინა 960 კვ საჟ. თბილისის გუბ. სიღნაღის მაზრა, ზიარის აგარაკში.

ვაჩნაძე. გრიგოლ ნიკოლოზის-ძე ჯენახი ზომით 1 დესეტინა 1200 კვ. საჟ. თბილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა, სოფ. ბაგურ ციხეში.

ვაჩნაძე. იოსებ რევაზის-ძე. ჯენახი, ზომით 2080 კვ. საჟ. თბილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა, სოფ ჯოდაგში.

ჯანდიერი. ივანე პაატის-ძე. ექვსი ჯენახი, ზომით 5 დეს. 2299 კვ. საჟ თბილისის გუბერნია, თელავის მაზრა, სოფ. ჭნანეთში.

ვახვახოვი. ზაქარია ივანეს-ძე. ადგილი, ზომით 7 დეს. 920 კვ. საჟ. თბილისის გუბერნია, თელავის მაზრა, ჯორდელურის აგარაკში.

ბურგენიძისა. ქეთევან სოლომონის ასული. ჯენახი, ზომით ორი დეს. 600 კვ. საჟ თბილისის გუბერნია, თელავის მაზრა, სოფ. შილდაში.

ვარლამოვი. ალექსანდრე იაკობის-ძე. ჯენახი და ადგილი ზომით 7 დეს. 600 კვ. საჟ. თბილისის გუბერნია, იგივე მაზრა, საგანაძეოო, სოფ. თხინვალში.

აივაზოვი. არტემ ოდოზის-ძე. საკენახე ადგილი და საძოვარი, ზომით 40 დეს. 1900 კვ საჟ. თბილისის გუბერნია იგივე მაზრა სოფ. ვალერიანოვკასთან.

თამამშოვი. სტეფანე სოლომონის-ძე. ჯენახი ბაღი, ერთ-სართულიანი ქვის საბეგურით, რიგის წყლით, სიგრძით 126 საჟ. და სიგანით 120 საჟ თბილისის გუბერნია და მაზრა, სოფ. სოლანლუღში.

წინამძღვრიშვილი. ზაალ პავლეს-ძე. ჯენახი ზომით 3 დეს. თბილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა. სოფ. ანანეშვილის აგარაკში.

ბავჭაეაძისა. დარია ალექსანდრეს ასული. ჯენახები, ბაღები და სახლი, მიწის ზომა 3 დეს., 920 კვ. საჟ თბილისის გუბერნია, თელავის მაზრა, სოფ. ურიათუბანში.

რატიშვილი. მისეიდ გიორგის-ძე. ჯენახი, ზომით 2 დეს. 100 კვ საჟ. თბილისის გუბერნია, დუშეთის მაზრა, სოფ. ქსოვრისში.

საგინაშვილი. მისეიდ პაატის-ძე. სახნავი ადგილები და ტუე ზომით 267 დეს თბილისის გუბერნია, თელავის მაზრა, სოფ. ზეშო-სოდაშენში.

შალიკოვისა. დარია გულბაათის ასული. საკენახე, სასახლეკარე, საძოვარი და ტუე, ზომით 6 დეს. 720 კვ. საჟ. თბილისის გუბერნია, სიღნაღის მაზრა, გურჯაანის აგარაკში.

ამილახვარისა. ანნა ალექსანდრეს ასული. სახნავი მიწები და ჯენახი ზომით 23 დეს. თბილისის გუბერნია, გორ.ს მაზრა, სოფ. ფელავში.

რატიშვილი. დიმიტრი იოსების-ძე. ჯენახი, ზომით 3 დეს. 2370 საჟ. თბილისის გუბერნი, დუშეთის მაზრა, სოფ. ქსოვრისში.

ვაჩნაძე. ივანე ბაადურის-ძე. ორი ჯენახი, ზომით 2 დეს. 2021 კვ. საჟ. თბილისის გუბერნია სიღნაღის, მაზრა, სოფ. ბაგურ-ციხეში.

(1—1)

Доз. ценз. Тифлисъ, 28 Мая 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.